სტამბა და რედაქცია:
ტფილისი, სასახლის ქუჩა, სათავად-აზნაურო ქარვასლა.
…ის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართვენ …დაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და …ამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამ. საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას.
…უმოუწერავ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს.
…ირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველ-დღე.
ტელეფონი № 363.

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კ.
მეოთხეზე 4 კაპ.
Типографія и Редакція
„ЦНОБИСЪ ПУРЦЕЛИ“
Тифлисъ, Дворцовая д. Дворянства
Телефонъ № 363.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახაზინო ახალ თეატრში

## სახაზინო ახალ თეატრში

პირველად ქართული წარმოდგენა
**კვირას, 31 მაისს,**
ქართულ თეატრის არტისტები **ვ. აბაშიძის** და **ყიფიანის** მონაწილეობით გამართავენ მხოლოდ ერთს წარმოდგენას.
წარმოდგენილი იქნება
I
**და-ძმა**
დრამა 5 მოქმ. ვ. გუნიასი
II
**გარაქალა მასწავლებელო**
ვოდ. 1 მოქმ.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. ჩერქეზიშვილისა, კარგარეთელი, საყვარელიძე, ბბ. აბაშიძე, ყიფიანი, სვიმონიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, კანდელაკი, ადამიძე, მჭედლიშვილი და სხვ.
ადგილების ფასი დაკლებულია
ანტრაქტებში დაუკრავს ორკესტრი
დასაწყისი $8^{1}/_{2}$ საათზე. ✦ ადმინისტრ. ივ. მჭედლიშვილი
სახაზინო ახალ თეატრში

კვირას, 31 მაისს, საღამოს 7 საათზე
სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია
**წლიური საზოგადო კრება**
**„შუამავლისა“**
…ს კრება, რადგან პირველი არ შესდგა „კანონიერი იქნება, მიუხედა…ად იმისა, თუ რამდენი დაესწრობამას, წილის პატრონი (იხ. წესდ. … 21)“.
წევრთ ამხანაგობისას არ გაეგზავნებათ ცალკე მოწვევის ბარათები

**პანსიონი** და **სასწავლებელი**
**დიდებულიძისა**
ღებულობს ბავშვებს მოსამზადებლად ამ ზაფხულშიც.
სურვილისამებრ დედ-მამისა, შეიძლება დიდ სიცხეებში ბავშვები იყოლიონ სოფელში, რომელიც შემკობილია ჩინებული ჰაერით, წყაროს წყლებით და სადგომით.
იკითხეთ: მიხეილის ქუჩა სახ. № 146.
Училище и пансіонъ **Дидебулидзе**
Михайловская ул. № 146. (150—143)

გამოვიდა და იყიდება
წ.-კ. გ. საზოგადოების და ქართველთა ამხან. მაღაზიებში
**ქლეხი-კაცის ისტორია**
ერკმან-შატრიანისა
თარგმანი **ივ. მაჭავარიანისა**
ნაწილი პირველი: საერო კრება.
ნაწილი მეორე: სამშობლოს განსაცდელი.
ფასი თითო ნაწილისა **სამი აბაზი.**
კარგს ქაღალდზე ხუთმეტი შაური.
—
…ქვე იყიდება ი. მაჭავარიანის თარგმანები
**ბრძოლები,**
… მქმ. დრამა პოლ ერვიესი. ფასი 30 კ.
**ივდითი,**
…რაგედ. 5 მოქმ. ჯიაკომეტისა, ფასი 30 კ.
…ც ფას-დადებით გაიწერს არა ნაკლებ ხუთი წიგნისა, მანეთზე 30 კაპ. დაეთმობა. (30—24)



**გოგირდის მადნეული**
მარსელიდან [საფრანგეთშია]
ვენახების და ვაზების საწამლავად მავნე მწერებისაგან.
ეგ გოგირდი ბევრად უკეთესია და ვაზსაც უკეთ არჩენს, ვიდრე წმინდა გოგირდი და თან ბევრად იაფია—**ერთი ფუთი ღირს 90 კაპ.**
მოიკითხეთ ტფილისში, კიროჩნი ქუჩაზე № 27, ალექსანდრე ნეველის ეკკლესიის პირდაპირ კუკიაში **ი. კ. ციცკოვსკისთან** დილის 9 საათიდან 11 საათამდე. (3—3)

ქართული თეატრი
ოთხშაბათს, 27 მაისს
მელიტონ ბალანჩივაძე
გამართავს
**კონცერტს**
აღსრულებულ იქნება სხვა-და-სხვა ახალი სიმღერები და რომანსები ბ-ნ ბალანჩივაძის მიერ შედგენილი.
სხვათა შორის შეასრულებენ ერთს სცენას ოპერის მესამე მოქმედებიდან
**თამარ ცბიერი**
და ჰიმნი
სამშობლო ხევსურისა
მუსიკა მ. ბალანჩივაძისა
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი სარაჯიშვილისა, ბ-ნი კარგარეთელი, ქალთა და ვაჟთა ხორო.
ხორო და ორკესტრი მ. ბალანჩივაძის ლოტბარობით.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია
დასაწყისი $8^{1}/_{2}$ საათზე

**განისვრა** და დაფასება
ტყიან მამულებისა
**დაფასება** სამეურნეო შემოსავლისა
მამულის გეგმის შედგენას და სხ.
კისრულობს ალექსი გრიგოლის მე **სნეჟკოვი**, ლაბორატორიის ქუჩა № 26. ტელეფონი № 567.
Алексѣй Григоріевичъ Снѣжковъ, Лабораторная, № 26. (50—24)

მოაგარაკეთა საყურადღებოდ
თელავში ნადიკვარზე
მთელი ზაფხულობით ქირავდება
**სამი ოთახი**
ბალკონით, სამზარეულოთი, საკუთარი ეზოთი, პატარა ხეხილიანი ბაღით, რომელშიაც არის წმინდა წყლიანი ჭა, იქვე პირის საბანი. მიეცემათ საგარაკოთ საკმარი მებელი, სამზარეულო ავეჯეულობა ქვაბებით, საკმაო ჭურჭელი. მოაგარაკეთათვის მარტო ქვეშაგებელი იქმნება საჭირო.
მსურველნი მიჰმართავენ: Въ Телавъ. И. Зарапишвили. (6—5)

სამკურნალო და ამბულატორია
**ს. ვ. თოფურიასი**
ქუთაისში.
სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან:
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ვ. თოფურია.** საქირურგიო ავამყოფობას და სიფილისს **ფ. კ. გერრატი.**
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**
20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r **ფ. ბაცევიჩი.**
თვალების ავადმყოფობას—**ი. კ. ვარშავსკი.**
ამბულატორიაში არის კაბინეტი, საექიმო და საბაქტეროლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და საჟისთვის.
სამკურნალო დირექტორი **ს. ვ. თოფურია.**
*Лѣчебница С. В. Топурія* въ Кутаисѣ,

### კანონი და მთავრობის განკარგულებანი

—

გადაყვანილ იქმნენ: გუმბრის რაზმის უფროსი, კაპიტანი მრევლიშვილი—ყარსის ციხის ქვეითა რაზმში; სოხუმის ნაწილის ხარჯთ-ამკრებ ინსპექტორის თანამდებობის აღმასრულებელი, ტიტულიარნი სოვეტნიკი თავადი წერეთელი - ბათომის ნაწილში. დამტკიცებულ იქმნა თანამდებობაზე საგანგებო საქმეთა მოხელის თანამდებობის აღმასრულებელი, რომელსაც ტფილისის გუბერნიის და ზაქათალის ოლქის სახელმწიფო ადგილების თვალყურის ჭერა აქვს მინდობილი ტიტულიარნი სოვეტნიკი მაჩაბელი.

## ახალი ამბავი

—

*** **მადლობის მოხსენება.** არის მისთანა გრძნობაც, რომელიც არც კალმით გამოიხატება და ვერც ენით გამოითქმის. სწორეთ ამ გრძნობით ავსილი, ვუძღვნი მე უგულითადესს მადლობას ყველა მათ, ვინც ავადმყოფობის დროს მე თანაგრძნობას მიცხადებდნენ; მით უფრო, რომ მათმა თანაგრძნობამ ჩემ მცირეოდენ ღვაწლს, რომელიც სახსენებელი არც კია, გადააჭარბა. და ვსწუხვარ მხოლოდ მას, რომ ბევრი აღარც ღონე და აღარც ხანი დამრჩენია, რომ აწინდელი ერთგულებითა და სამსახურით გადავიხადო ვალი და მით ოდნათ მაინც გავამართლო ჩემი თანამგრძნობლების იმედი.—აგრეთვე არ შემიძლია, რომ სიკვდილამდე დავივიწყო ის მოვლა და პატრონობა, რომელიც ბატ. თოფურიას საავადმყოფოში გამიწიეს.

აკაკი

*** **ბალანჩივაძის კონცერტი.** დღეს სათავად-აზნაურო თეატრში დანიშნულია მელიტონ ბალანჩივაძის კონცერტი, რომელშიაც, სხვათა შორის, დადგმული იქნება ბალანჩივაძისავე ოპერიდან „თამარ ცბიერიდან“ ერთი მოქმედება.

იმედია, ქართველი საზოგადოება, რომელიც ყოველ მაგისთანა შემთხვევაში ყურ-ცქვიტია ხოლმე, დღესაც სიამოვნებით დაესწრება ხსენებულ კონცერტს და მით თავის თანაგრძნობას გამოუცხადებს ახალგაზდა მემუსიკეს, რომელმაც ჩაყარა პირელი საძირკველი ქართული საოპერო მუსიკისა.

*** **საქველ-მოქმედო ბაზრობამ,** რომელიც გამართულ იყო სათავად-აზნაურო ქარვასლაში 24 და 25 მაისს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ, მშვენიერად ჩაიარა ყოვლის მხრივ. ნივთები მრავალი გაიყიდა, ხალხიც ბლომად დაესწრო და საზოგადოდ მხიარულად ჩაიარა. როგორც ამბობენ, შემოსავალი 2,500 მანეთს აღემატებაო.

*** **მკვლელობა.** გუშინ დილით ქალაქში ხმა გავრცელდა, რომ 25 მაისს ქ. ბათომში ნაშუაღამევის სამ საათზე თავ. გურიელს მიუკლავს თავ. ივანე მელიქიშვილი.

*** **პანაშვიდი ბელინსკიზე.** გუშინ სამხედრო სობოროში შუადღისას გარდახდილ იქმნა პანაშვიდი რუსეთის ცნობილის კრიტიკოსის ბესარიონ ბელინსკის სულის მოსახსენებლად, რომელიც გარდაიცვალა ამ ორმოც-და-ათის წლის წინად. პანაშვიდს დაესწრნენ მწერლობის წარმომადგენელნი და სამოსწავლო დაწესებულების წარმომადგენელნი მზრუნველის პ. კ. იანოვსკითურთ.

*** **ლექცია საკვირაო სკოლაში.** 25 მაისს სტუდენტმა ალ. ჯავახი-

შვილმა ტფილისის საკვირაო სკოლაში მოწაფეთ ლექცია წაუკითხა ჰაერისა და სხეულთა თვისების შესახებ. მოსწავლენი აღტაცებით ისმენდნენ ლექციას. გარდა ამისა, ბ. ივ. გრ. რატიშვილმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელმაც მოსწავლეებზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა.

*** **ელექტრონით ბრძოლა ფილოქსერასთან.** 22 მაისს კავკასიის საფილოქსერო კომიტეტის სხდომაზე სხვათა შორის განხილულ იქმნა კითხვა ინჟინერ გიდრავლიკის ე. მ. პილსუდსკის წესით ფილოქსერასთან ელექტრონით ბრძოლის შესახებ. ფილოქსერის კომიტეტმა მოისმინა ბ. პილსუდსკის განმარტება და აგრეთვე ამ სხდომაზე მოწვეულის სპეციალისტის ვ. ი. ვარაპაევის აზრი და შესაძლებლად სცნო გამოყენებულ იქმნეს საცდელად ზემოხსენებული წესი ფილოქსერასთან საბრძოლველად. ამ საქმის მოსაწყობად საფილოქსერო კომიტეტმა აირჩია განსაკუთრებული კომისია შემდეგ პირთაგან: თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილისა, ვ. ი. ვარაპაევისა, ე. მ. პილსუდსკისა, ნ. ნ. სპეშნევისა და ვ. ა. სტაროსელსკისაგან. ელექტრონის გამოცდა მოხდება საქარის საჩქოლეში.

*** **სამსახურის თავის დანებება.** 23 მაისს ქალაქის წყლის მილის გამგემ ინჟ. მიხაილოვმა განცხადება წარუდგინა გამგეობას, სამსახურიდან დამითხოვეთო.

*** **საჯარო ვაჭრობის დარბაზი.** ქალაქის გამგეობამ 23 მაისს შუამდგომლობა აღძრა ტფილისის გუბერნატორის წინაშე იმის შესახებ, რომ დაარსებული იქმნეს ტფილისში საჯარო ვაჭრობის დარბაზი, საჯარო ვაჭრობით სხვა-და-სხვა ნივთების გასასყიდად და აგრეთვე მათ შესანახად, 2%-ის გადახდევინებით.

*** **რკინის გზა ტფილისსა და კოჯორს შუა.** ამ ჟამად, როგორც ისმის, ერთი ბელგიელ კაპიტალისტთა კომპანიის მინდობილებით, დაწყებულია კვლევა-ძიება ტფილისიდან კოჯორამდე რკინის გზის გაყვანის შესახებ. ეს კვლევა-ძიება მინდობილი აქვს ერთ-ერთ ადგილობრივ ინჟენერს.

*** **ბაქნები რკინის გზაზე.** ამიერ-კავკასიის რკ. გზის გამგეობამ უკვე დაასრულა ღია ბაქანების გამართვა შემდეგ სადგურებზე: აბაშა, ბაქო, კასპი, კოპიტნარი, ქუთაისი, სვირი, წიფა და ალაბშლი; გარდა ამისა გამართულია დახურული ბაქანები ბარგუშეთისა, კურდამირისა, მუხრანისა და ახალსენაკის სადგურებზე. აგრეთვე გამართულია საქონლის შესანახი ბეღლები შემდეგ სადგურებზე: ბაქოსა, ბარგუშეთისა, ძირულისა, ყვირილისა, განჯისა, მარელისისა, საბუნჩისა, ჩაქვისა, გორისა და შორაპნისაზე. მუშაობა წარმოებს საქონლის შესანახ ბეღლების ასაგებად ბათუმისა, ბაქოსა, გომისა, ზაზალისა და ნავთრნის სადგურებზე. დასასრულ, გაგრძელებულ დახურულ იქმნა სამგზავრო ბაქანები: მცხეთისა, ფოილისა, ბორჯომისა და სხვა სადგურებზე.

*** **კაცის დაჭრა.** სამშაბათს, 26 მაისს, ნაძალადევში, სედრაკ სტეპანიანცის ქორწილში ნაქეიფრებს კევლიშვილს და ჰულუროვს მოსვლიათ ლაპარაკი და შემდეგ იარაღზედაც მისულა საქმე კევლიშვილს დაუკრავს ხანჯალი ჰულუროვისთვის და ძლიერ დაუჭრია. ჰულუროვს მიშველებია თავის ცოლის ძმა და იმისთვისაც ხელები დაუსხეპია. გამოძიება სწარმოებს.

*** **კავკაზი. მკვლელობა.** 21 მაისს, დილის 5 საათზე, ქალაქის პოლიციის გამგეობის სამორიგეო ოთახში ძილის დროს რევოლვერით მოკლულ იქმნა ბოქაული მ. პ. უსტინოვსკი. მკვლელობა ჩაიდინა ქუჩის დარაჯმა ორიუშკოვმა, რომელიც უწესო ყოფა-ქცევის გამო წარდგენილ იქმნა უსტინოვსკის მიერ დასათხოვნად. ორიუშკოვმა განუცხადა გამომძიებელს, ეს ოთხი დღეა ვცდილობდი ბოქაულის მკვლასაო.

მაისის პირველ რიცხვებში უსტინოვსკიმ პირველად დაიზღვია თავი უბედურ შემთხვევისაგან 4,000 მანათში. („ნ. ო.“.)

*** **ქუთაისი. საარჩევნო ციებ-ცხელება.** ქუთაისი დღეს სულ სხვა სურათს წარმოადგენს. კვლავინდებურათ აღარ სძინავს, ცოცხალი ელფერი დაედვა, ხალხი ამოძრავდა, საქმე გაჩაღდა ხალხის გულში და თვალებში რაღაცის სურვილს ამოიკითხავთ... არჩევანების დრო მოახლოვდა, კენჭის ყრა დაიწყება არა უგვიანეს ხუთმეტ ივნისისა. ექვს თვეზე მეტია, რაც პარტიებმა თავი იჩინა, აგენტები ყველა ქუჩებში დაინიშნა; აქამდის უსაქმოთ და უადგილოთ მოხეტიალე ზოგიერთმა ვაჟბატონებმა დღეს საქმე იშოვნეს. ქუჩა-ქუჩა და სადაც კი შეხვდებიან, ქადაგობენ ხალხში, ვეცადოთ იმისთანა ხმოსნების არჩევას, რომელიც ამა და ამის მომხრენი არიანო. ესათ (გვარს ასახელებენ) დიდს საქმეს გვპირდებაო. სულ მალე რკინის გზა უნდა შემოიყვანოს, სამტრედიიდან წყლის მილებით წყალი უნდა გამოიყვანოს ბაზარში და ბევრი სხვა კარგი რამეო. ერთმა ძველმა ხმოსანმა კვირა დღეს ბულვარზე საქვეყნოთ აღიარა თავის სურვილი: თუ ამირჩევთ მომავალში ხმოსნათ, მე ვიცი და ჩემმა სვინიდისმა რა კეთილი საქმე გამოვუჩინო ქალაქსაო. ორი სამი თვის განმავლობაში კონკას გავაჩენო და სხვაო. მაგრამ ჩვენ ქუთაისელებს ძალზე გვაქვს გული გატეხილი როგორც ხმოსნებზე აგრეთვე ქალაქის გამგეობაზე იმ დაღოცვილისშვილებმა მთელი სამი წელიწადი უბრალო ლაყბობას და ურთიერთს შორის ქიშპობას მოანდომეს დრო და ჟამი.

ხუჭუჭი

*** **დ. ხონი. ნოქრების გაჭირვება.** ჩვენმა პატარა ხონმა ძალიან წინ წაიწია ყოველისფრით, სწავლა-განათლება, წარმატება და დაწინაურება ყველაფერში სჩანს და წარმოიდგინეთ უბრალო მუშა ხალხიც კი შეგნებული და განვითარებული შეიქნა. მხოლოდ ნოქრების ტანჯვა-წვალებას აღარ აქვს ბოლო... წელიწადი ისე გაივლის რომ ნოქარს ერთი დღეც თავისუფლება ვერ ეღირსება... თუმცაკი უმაღლესი მთავრობიდან ნაბრძანებია კვირაობით დუქნების დაკეტა, მაგრამ ეს ბატონი „ხაზეინები“ არამც თუ კვირაობით, დიდ დღესასწაულებზედაც, დუქნებში ჰყავთ გამომწყვდეული ნოქრები ტყუილად კი არ ეუბნებიან ვაჭრებს და ნოქრებს, რომ ღმერთი არა გწამთო აბა რად ეწამებათ რომ ეკკლესიაში არ დადიან. ურიგო არ იქნება, ყურადღებას მიაქცევდეს, ვისიც ჯერ არს.

მიხეილ ა—ძე

*** **დრანდა** (აფხაზეთი). **დრანდა როგორც სააგარაკო ადგილი.** საზოგადოთ შავი ზღვის ნაპირები ისეთი შემკულია და უხვად დაჯილდოვებულია ბუნებისაგან, რომ ყოველი უცხოელი, აქ მოსული, აღტაცებაში მოდის და ედემს უწოდებს ჩვენს მხარეს. ზამთრობით აქეთკენ ისე თბილა, რომ ფორთოხალი და ლიმონი ხარობს, ზაფხულობით თუმცა ცხელა, მაგრამ ალაგ-ალაგ ჰავა გრილია და მშვენიერი სააგარაკო ადგილებია.

ერთი ამისთანა ადგილთაგანი არის ს. დრანდა. აქ ზამთრობით ისე თბილა, როგორც სოხუმში, მხოლოდ ის უპირატესობა აქვს სოხუმთან, რომ აქ ალაგი მაღლობია, თითქმის ექვსი მხარით უმაღლესია ზღვის ნაპირზედ და ამისათვის ზაფხულობით აქ მუდამ გრილი ნიავი ჰქრის და მშვენიერი ჰაერია ხოლმე. ერთი სიტყვით დრანდა არის ნამდვილი სააგარაკო ალაგი და როგორც ამბობენ, წლეულს ბევრნი თურმე აპირობენ სოხუმიდან აქ ამოსვლას საზაფხულოთ.

— **აფხაზური ჩვეულება „აბსხურა“.** ბევრი საკვირველი ამბები ხდება ჩვენს მხარეში, მაგრამ ყველას ვერვინ ჩამოსთვლის და რომ ჩამოვთვალოთ, ცენზურა და რედაქცია მაინც არ გაუშვებენ. აქ ხალხში სარწმუნოებას და ქრისტიანობას ღონიერი ნიადაგი ვერ გაუკეთებია და უკანასკნელს საფეხურზე დგას. მცხოვრებნი აქ მეტი ნაწილი მეგრელებია, მაგრამ ესენი ნაკლებად წააგავენ სამეგრელოს მეგრელებს: აქაურნი ბევრი აფხაზურ წესზედ იქცევა და ბევრიც სხვანაირათ. აი მაგალითად აქ ს. შაფში ერთ მეგრელს ვაჟი მოუკვდა და თუმცა მაშინ კი დამარხა ქრისტიანული წესით, მაგრამ აფხაზური აბსხურა მაინც გადაიხადა. აბხაზური სიტყვა აბსხურა ქართულათ ნიშნავს მკვდრის არშივს ანუ კერძს. აბსხურა ვითომ წააგავს აღაპს თავისი მნიშვნელობით, მაგრამ, თუ დაუკვირდებით, აბსხურა სულ სხვაა და რაღაც წარმართული ანუ მაჰმადიანური ჩვეულება არის. აღაპი ქართულათ იგივე ტირილი არის და მკვდრის მოგონება, ხოლო აბსხურა უფრო კარგს მეჯლისს წააგავს, იქ არის გამართული სროლა ნიშანში და ვინც მოარტყამს, საჩუქარია; არის აგრეთვე დოლი, ჭამა-სმა და ქეიფი. ხშირათ აბსხურაში დიდი ჩხუბი იმართება და ბევრი იხოცება ხანჯლით და დამბაჩით. აბსხურა შეიძლება ორი წლის შემდეგაც გაიმართოს კაცის გარდაცვალებიდამ და შეიძლება ერთ თვეშიც, როგორც კი მოაწყებს განსვენებულის ჭირისუფალი. ამ დღისათვის მოპატიჟებული ჰყავთ თითქმის მთელი აფხაზეთის საუკეთესო თავად-აზნაურობა და ყველა ნაცნობები, ვინც მოყვარე მონათესავე არის ვალდებული თითო ორ-ორი საკლავი ხვადაგი მიუყვანოს აბსხურის გამართველს, საკლავს ზურგზედ შავი სუდარი უნდა ჰქონდეს გადაფარებული ნიშნად მგლოვიარობისა. აფხაზის ქალები დაიყოფიან ორ ჯგუფათ, შუაში კაცები ჩადგებიან და მორთვენ ღრიალს. ქალები რიგ-რიგობით მღერიან, მათებურათ ვითომ სტირიან, მაგრამ ის ხმა, რომელიც იმ დროს მოისმის, უფრო სიმღერას წააგავს, ვიდრე ტირილსა. მამაკაცები კი ნამდვილათ ტირიან და ქვითინებენ, აქვე არის ტახტი გაშლილი, რომელზედაც აწყვია განსვენებულის ტანისამოსი და მისი მოწყობილობა. ამ მოთქმის დროს ცხენიც შავებში მორთული უჭირავს ერთსა და შუაში ატარებს, ვი-თომ ისიც ტიროდეს. ქალები იმ სიმღერის დროს ორივე ხელებს დამუჭულს შუბლზედ ისმენ და გულზედ იკრეფენ. განსვენებულის მამა იმ დღეს არ უნდა ტიროდეს და პირიქით მხიარულათ უნდა იყოს და ყველასთან იცინოდეს, თორემ თუ კი ვინმე აფხაზმა მამას მოწყენა შეატყო, დიდ სირცხვილად ითვლება. ერთი სიტყვით, აბსხურა არის მაჰმადიან აფხაზთა ჩვეულება და დიდი მწუხარება იქნება, თუ ეს მავნე ჩვეულება ქრისტიანებმა და კიდევ მეგრელებმა გადიიღეს.

შაფში წმინდა მეგრელები არიან და რამ გამოიწვია აბსხურას გამართვა აქა? ეს იმის ნიშანია, რომ ხალხს მქადაგებელი და ჩამგონებელი არა ჰყავს და მათში ქრისტიანობა ნაკლებათ ვრცელდება. საჭიროა, ამ სამწუხარო მოვლენას ყურადღება მიაქციონ, ვისიც ჯერ არს!

Humanus

*** **ს. აცანა** (გურია). **სამრევლო სკოლის ახალი მზრუნველები.** წარსული წლის ენკენისთვის თვიდგან, აქ, ადგილობრივის მღ. ათანასე ტუსკიას შეგონებით და მეცადინეობით დაარსდა მთავარ-ანგელოზის სამრევლო სკოლა; დღემდის ამ სკოლას მღვდლის გარდა არავინ ყურადღების მიმქცევი არ ჰყავდა, და რადგან მღვდელს სხვა და სხვა მიუცილებელ საჭიროების გამო იმდენი დრო არ ჰქონდა, სკოლის მოთხოვნილება სრულიად დაეკმაყოფილებინა, ამისათვის სკოლა ბევრ გაჭირვებას ითმენდა.

იმ კვირას, აქ მობრძანდა ბლ. მღ. ს. ჩხაიძე და გამოუცხადა ყრილობას ამოერჩიათ სკოლის მზრუნველები. ყრილობამ ერთხმად ამოირჩია ხალამპრე, ალექსანდრე, დიმიტრი და იესე ჩხაიძეები. ეს პირები ძლიერ კეთილი და გულშემატკივარი ადამიანებია და დარწმუნებული ვარ დღეიდგან სკოლის ბედ-იღბალი წარმატების გზას დაადგება. ეს ახლად ამორჩეული მზრუნველები დიდს შემწეობას და დახმარებას აღმოუჩენენ სკოლის ბიბლიოთეკის დაარსებაში და არ იშურებენ არავითარ ხარჯს და შრომას, ოღონდ კი საქმე [illegible] ვუსურვებთ [illegible] მარჯვებას.

ბ. ურატაძე

*** **დ. საჩხერე** (ზემო იმერეთი). **ბანქოს მოტრფიალენი.** დაბა საჩხერეში საზოგადო სენმა ქაღალდის თამაშმა დიდი ხანია გაიდგა ფესვი, ამ უკანასკნელად ისეთი დასი შესდგა მოთამაშეებიდგან, რომ სწორედ ჩვენს ბატონ პოლიციის ბოქაულს სასტიკი ზომები არ მიეღო, მათთა შესატუქსავად, ეს დასი კარგს არას მოახდენდა; ცოტა ხანს კიდეც მიყუჩდნენ ეს ბატონები, მაგრამ იმათი ბაირახტარი გაძვრა-გამოძვრა და მიაგნო შავი ქვის ფულებს. ეხლა კიდევ უყრის ნელ-ნელა თავს. თავის ამქრებ ზოგიერთა მივარდნილ დუქნის უკანა ოთახში, სადაც აქვთ ერთი ვაი-უშველებელი, ცემა-ტყეპა. ეს ბაირახტარი ხშირად ჯიბე-ცარიელი გამობრძანდება და თავ-რეტიანი მოჩანჩალობს ქუჩაზე. ხანდახან გულ-გადასაყრელად მიაშურებს.

მოსე

*** **ახალგორი** (ქართლი). **ბუნება და ალებ-მიცემა.** „...დღე-დღეობით მზე ხარ, ღამ-ღამობით მთვარეო“.. ეს ალერსი სასიქადულო აკაკისა, თითქმის ზედ გამოჭრილია ახალგორზე. ის მშვენება და ელფერი, რაიც პაწია დაბას ამკობს და აკოპწიებს, ქვეყნიერობის გამჩენს ახალგორისთვის არ დაუშურებია. ქსნის ხეობა, მართალია ბუდეა ბუნების სიმშვენ-სიტურფისა, მაგრამ ახალგორთან ვერც ერთი სოფელი ვერ მოვა, როგორც იტყვიან, აქ დაუბერტყამს უფალს თავისი მადლიანი კალთა: მთლათ მოჭედილია ზვარ-ვენახებით და ზევიდამ ამწვანებული კლდე ამაყად დასცქერის, თითქოს საგანგებოთ დარაჯათ დაუყენებიათო... მდინარე ქსნის იქით, ატეხილ ქალებს მწვანეთ ლალანი გააქვთ თვალის სასიამოვნოთ და საღამ-საღამობით ბულბულის სტვენაც და მოლაღურის გალობაც კი ატკბობს ახარებს გულს. აქ ადამიანი ბევრს ჩვენებურ-ძველებურ საეკკლესიო ნიშს და სხვა ნაშთსაც ნახავს, რაც მოწმობენ ახალგორის ისტორიულ მნიშვნელობას. ახალგორის აშენებას და დაფუძნებას აკუთვნებენ საურმაგ I, რომელიც მეფობდა შუა ქართლში ორ საუკუნის წინათ ქრისტეს დაბადებამდე. ახალგორი ყოველთვის ყოფილა ქსნის ერისთვიანთ სერნაკადს და ყველა ქსნის ხეობის კუნჭულ კუთხის ვაჭრობის კავშირის ღერძათ. გარდა ქართველ და სომეხ მცხოვრებელთა, აქ უწინ ებრაელთაც ჰქონიათ ბინადრობა. ეხლა კი მათი ხსენება აღარ არის. თვით სომეხთ მცხოვრებელთა რიცხვიც თან და თან მცირდება.

ეს არის სავალალო, რომ ამნაირ საამო სამოთხეს, სამიმოსვლოდ ოღრო-ჩოღრო და აღმართ-დაღმართიანი გზა აქვს, ახალგორს რომ გზა კარგი ჰქონდეს, აგარაკი შეიქმნებოდა და კარგათაც აყვავდებოდა ახალგორის ალებ-მიცემა, მაშ გამფხიზლებას ვუსურვებთ.

...სასწავლებელი. აქ არის სამინისტ... პირველ დასაწყისი ქალ-ვაჟის ...ლა. სამღვთო სჯულის და სა...ობელო მასწავლებლად ბრძა...ება ყოვლად პატივცემული მა... პანტელეიმონი გედევანიშვილი ...დანარჩენ საგნებისა: ქართულ-...სულ ენებს და არითმეტიკას ას...ის მასწავლებელი ქალი თა...ის ასული ამილახვრისა. შეგი...ები ქართველი და სომხები სულ ...მოცამდე იქმნება. კეთილ მას...ვლებლების წახალისებით და ...მძღვანელობით ბავშვებს დიდი ...მატება ეტყობათ. ქ. დუშეთის ...სირცხვილოთ ნუ კი ითქმის და ...ვია დაბა ახალგორი მას არ ჩა...უვარდება საეკლესიო გალობის ...მეში. დუშეთში ათასში ერთ...ლ ვერც კი ეღირსება ადამიანი ...ვის მშობლიურ ენაზე გალობის ...ენას, ახალგორში კი ამნაირ ნა...რის აღსრულება ადვილია: ბავშვებმა კარგად იციან ლოცვა-...ლობა.

ამ სასწავლებელს ინახავს რამ...ენიმე სოფლის საზოგადოება და ...ალგორის მცხოვრებლების შვილები ...იზრდებიან?! ახალგორის ზოგ...ს ღმერთი არ უწყენს, რომ კე...ლ საქმის სარფისთვის მხარი ...სცენ გლეხკაცობას და წმინდა ...ლვაწი ძირს არ დაამხონ, მით ...ფრო შარშანდელ მოუსავლობის ...ამო, ბლეხ კაცობას სკოლის შე...ახვა არამც თუ გაუჭირდება, თავის ...ენახვაც კი უჭირთ.

დუშელი ვანო

*** **ლეჩხუმი.** დაბა ცაგერი ქალაქად. ამ რამდენისამე წლის წინად ლეჩხუმში ყველასათვის სასიამოვნო ხმა გავრცელდა, რომელიც შეეხებოდა დ. ცაგერის ქალაქად გადაკეთებას. ეს ხმა არც ...ყუილი იყო, რადგანაც ამ დროს ...დ. ცაგერში უკვე იკვლევდნენ ...მას, თუ როგორ შეიძლებოდა ...სენებული დაბის ქალაქად გადა...ეთება და მოიპოვებოდა თუ არა ...საკმაო ადგილები. ამ მხრივ ჩვენი ...დაბა შესაძლებელი კი არა და, ნა...დვილი შეძლებულიც გამოდგა, რადგანაც მდებარეობა საკმაოდ ...უწყობს ხელს და მთლად ლეჩხუმ...ვანეთს და რაჭასაც მარტო ეს ...ერთი ქალაქი ექნებოდა. ეს ყვე...ლაფერი მოჰხსენდა, სადაც საჭირო ...იყო და კიდევაც დაგვპირდნენ: მალე „გოროდად დავამტკიცებო“, მაგრამ რაღაც მიზეზით შე...ფერხდა, მცხოვრებლებსაც მოგვწ...ყინა „მალე იქნება“-ს ძახილი და ...„როდი“-კი არსად არის“.

— **სწავლა-განათლების საქმე ჩვენში.** ძალიანა კოჭლობს სწავლა-განათლების მხრივ ლეჩხუმი. მართალია, დ. ცაგერ... არსებობს ერთი ორ-კლასიანი სასწავლებელი, მაგრამ ეს ყველასათვის ხელ-საყრელი არ გახლავთ და წერა-კითხვის სწავლის მსურველი-კი ბევრია. ასე გასინჯეთ, მთელს ლეჩხუმში, სადაც 32 ათას მცხოვრებზე მეტია, ამდენს ხალხს ერთი ბიბლიოთეკაც არა აქვს და ჟურნალ-გაზეთებსაც ძალიან ცოტანი იწერენ.

— **ვაჭრებისაგან მგირად, სოფლელებისაგან იაფად!** აქაური მცხოვრებლები ხშირად იკლებენ თავიანთ საჭიროებაზე სხვა-და-სხვა შინაურ ნაწარმოებს, რომელიც სოფლის დუქნებში და დ. ცაგერში მიაქვსთ გასასყიდად, რომ ცოტა გროშები აიღოს და სხვა საჭიროებაზე მოიხმაროს, მაგრამ მოვაჭრენი ნახევარ ფასსაც არ აძლევენ საწყალ ხალხს, ხოლო თვითონ-კი ვაჭრები ძალიან მეძვირენი არიან, მაგ. გირვანქა შაქარი იყიდება აბაზად, ნავთი გირვანქა შაურად და ხშირად მეტადაც, მარილი ორი აბაზი და ხშირად ათი შაურიც ფუთი და სხვა.

— **ხვნა-თესვის დაგვიანება.** ჩვენკენ ძალიან გვიან გამოიზაფხულა და ამის მიზეზით დაგვიანდა ხვნა-თესვა.

— **ვენახების სიკეთე.** ვენახებმა კარგად გამოიღო და გვარიანი პირი უჩანს, ვისაც შეძლება ნებას აძლევს, წამალსაც უშვრებიან.

— **სარჩოს ნაკლულევანება.** ძალიან ბევრს აკლია სარჩო, რომლისათვისაც სად არ დადის საწყალი ხალხი და ბევრი ხარჯის ფულისათვის მუშაობს.

— **ამინდები.** აქეთ ჯერ-ჯერობით კარგი ამინდებია.

წაფერჩელი ა—რე ხაბულიანი

*** **ზუგდიდის მაზრა.** მოუსავლობა და საერთო შეწუხება. 1898 წელმა, გამოგიტყდებით, მკითხველნო, გაგვამწარა, ფეხის შემოდგმისათანავე თავი შეგვაძულა, იმედები დაგვიკარგა. ჯერეთ თოვლში კინაღამ ჩაგვახრჩო, მინაური პირუტყვებიც ძლივს შეგვარჩინა, რადგან თოვლს მკაცრი ყინვები მოჰყვა. ის იყო თოვლს მოვრჩით, გვეგონა ვენახები და ხეხილები იხარებდა, მაგრამ არც იმათთვის დაურია ყინვას კარგი რამ: ვენახები და ხეხილები გახმა. ბევრი ურურეთ ვენახებს და ხეხილებს, აი ეგ-ლა გამოიღებს ფოთლებს და გაიხარებსო, მაგრამ ამ ყურებით აჩრილი გათავდა, მაისიც აგერ თავდება, ხოლო იმათ ფოთოლიც აღარ მოისხეს. ჩვენი იმედი ვერ გახხორციელდა, დავრჩით გულ-ხელ დაკრეფილნი, უურხამოშვებულნი იმედის გამტყუნებით. გამხმარი ვენახები და ხეხილები ძალაუნებლიეთ დავჭერით და შეშად შენახული გვაქვს- თუმცა მათი დაჭრა ჩვენთვის ხანჯლის გულში კვრის მგზავსი იყო.

ჩვენ, დაშინებულებს არც მოსავლის იმედიცა გვაქვს, რადგან 1898 წელი არც ამას უურებს მოწყალების თვალით: ხვნა-თესვის დაწყების დროს წვიმამ ხელი შეგვიშალა, ხოლო ამას მოჰყვა საშინელი გვალვა ასე, რომ 21 მაისს რომ არ მოსულიყო წვიმა, ჩვენი საქმე ცუდად იქმნებოდა, ყველა ყანები გაფუჭდებოდა. ამ წვიმამ, როგორც მძიმე ავადმყოფს ექიმი მიეშველოს და სიკვდილისაგან გადაარჩინოს, ისე მოგვეშველა, როგორც მცხოვრებლებს, ისე ჩვენს ნათესს ყანებს.

აი ამ დროებით ასეა ჩვენი საქმე, ხოლო აწი როგორ დაიტრიალებს ჩვენი ბედის ჩარხი და როგორ გადავრჩებით ამ წელს, ვინ იცის!

გრიგოლ კორცხელელი

## ვერა ჯაფარიძის დასაფლავება ქუთაისში

„ძნელათ თუ ვისმე არგუნებს ბედი სიცოცხლეში პატიოსან მშრომელ ადამიანს ნაღვაწი დაუფასოს იმ საზოგადოებამ, სადაც იგი მუშაობს და მით მოღვაწის ძალღონე გაამხნეოს და წააქეზოს უკეთესი მომავლისადმი. ასეთის ხვედრისანი არიან ისინი, ვინც ცოტას ყვირიან და ბევრს აკეთებენ, ფანატიკურათ გატაცებულნი არიან თავიანთ საქმიანობით, მუდამ შრომობენ და შემჩნევითაც მათ დაუღალავ მოქმედებას მათებრ პატიოსან და მშრომელ ადამიანთა დაკვირვებული თვალი ამჩნევს. ისინი მუდამ უკეთეს მომავლისადმი მიისწრაფიან, მუდამ ტანჯვა-ვაებაში არიან და „სიამენი სულისა“ მათი იშვიათი სტუმარია. აი ასეთ ადამიანთა გუნდს ეკუთვნოდა ერთი წლის ტანჯვის შემდეგ ქუთაისში წარსულ კვირას გარდაცვალებული ქართველი ქალი ვერა ილარიონის ასული ჯაფარიძე.

არა ხანგრძლივი და ვარდით მოფენილი იყო ამ ადამიანის მოღვაწეობა ქუთაისში. გაათავა თუ არა მან ამ 9 წლის წინათ ქუთაისში საქალებო გიმნაზია, იმ დღიდანვე მიყო ხელი აქაურ ქალთათ-ერთათ-ერთ სამოქმედო ასპარეზს, საპედაგოგიო მოღვაწეობას. მაგრამ ამ მოღვაწეობის დროს, სხვების აღზრდა გაწვრთნაში, მას თავისი თავიც არ დავიწყებია, როგორც ეს ჩვეულებრივი მოვლენაა ჩვენ ინტელიგენტებში, და ცდილობდა მასაც შეეძინა ცხოვრების შესაფერი ცოდნა. ამ მიზნისათვის იგი ყველა თვისს მეგობარ-ამხანაგებისაგან ღებულობდა რჩევებს და მართლაც რომ მისი ბუნებრივი ნიჭი საკმარისათ დაჯილდოვებული იყო განვითარების მხრით. ამას აღიარებს ყველა მისი ნაცნობები და ესევე ცხადათ აღნუსხეს მისმა მეგობარ-ამხანაგებმა თავიანთ გრძნობით წარმოთქმულ სიტყვებში კვირას 17 მაისს მისი ცხედრის წინაშე.

მოვიყვანთ აქვე ამ სიტყვებიდან იმ ადგილებს, რომელნიც ნათლად ახასიათებენ ამ უდროოდ დაკარგულ ადამიანის ფხოვრებას.

ერთმა მისმა მეგობარმა აღნუსხა რა მისი საპედაგოგიო მოღვაწეობა ქუთაისში კერძო, საკვირაო და საეპარქიო საქალებო სკოლებში, მოიყვანა განსვენებულის მიერ მეორე მეგობრისადმი სიტყვები იმ წერილიდან, რომელიც მას აბასთუმნიდან შარშან შემოდგომაზე მოეწერა მეგობრისათვის. მოგვყავს ეს ადგილი, რადგანაც მისი (ვერასი) ის საუკეთესო დამახასიათებელ განსვენებულის სულის კვეთებისა და მისწრაფეეათა ხატავს რა აქ ერთ თავისს მეგობრის უმაღლეს სასწავლებელში წასვლის შესახებ თავის გულწრფელ გრძნობებს და სწუხს რა ერთ იმ ხანებში ჩამოსულ ახალგაზდა მოღვაწის გაუცნობლობაზე, -იგი ასე განაგრძობს თავისი მაშინდელი მდგომარეობის გამოხატვას: „ძალიან ხშირათ მეწვევიან ხოლმე შავი ფიქრები, მოიცვენ მთელ ჩემ გონებას; ყოველივე შავბნელათ მეჩვენება, ადამიანი მძაგს ამ წამებში თავისი დამახინჯებული ბუნებით, ცხოვრებასთან ბრძოლა არ ძალმიძს უდროვოთ გათელილ-დასუსტებულს სასტიკი გარემოებისაგან, მერმისი მაშინებს და რაღაც აპატიას ვეძლევი... კიდევ კარგი, რომ იმედი სრულიად არ ქრება და იშვიათ მაინც გამომიშუქებს, როგორც ღრუბლებიდან დაფარული ნათელი მზე! მწამს უკეთესი მომავალი, მსურს ცხოვრებასთან მედგრათ შეტაკება, გამხნევებული იმედით, რომ გვერდში ამომედგება ორი ახალგაზდა, სავსე ენერგიით, ძალით ძმები, მინდა ჩაგრულთ შევუმსუბუქო ცოტაოდნათ მძიმე ტვირთი, ცოტაოდენი ნათელი მაინც შევიტანო მის ბნელით მოცულ ცხოვრებაში. მჯერა ადამიანის სიკარგე, ძმობა, ერთობა, სიყვარული! ოჰ, რა მშვენიერი, რა ტკბილია ეს წამები და რა საშინელებაა უიმედობა, სასოწარკვეთილება. ვერ წარმოიდგენ, თუ რა მენანება ჩემი თავი სასიკვდილოდ. საშინელ სიბრალულს ვგრძნობ ჩემდამი, ვადარებ ჩემს თავს ყვავილს (არ გაგე[illegible]) გაზაფხულზე ადრე გაშლილს და სასტიკ ყინვებისაგან მკაცრად, შეუბრალებლად დამჭკნარს. რა გაეწყობა, ბუნებამ სიბრალული არ იცის და ყოველიფერს მეტს, სუსტს სპობს, ან სხვა სახეს მისცემს და ამ ნაირათ განაგრძობს მუდმივ წინ-მსვლელობას. ვნახოთ, ვინ გაიმარჯვებს? ჩემ და ბუნების შორის სასტიკი ბრძოლაა აღძრული“...

ელისაბედ ჰიჰინაძემ შემდეგის სიტყვით მიჰმართა ცხედარს:

დაუვიწყარო დაო და ამხანაგო ვერა! დღეს მთელ ბუნებას ნადიმი გაუმართავს; ზურმუხტათ შემოსილა, ფირუზი ცა თავზედ დაუხურავს და ძირს ფერად-ფერადი ყვავილები გაუშლია! და იმ დროს, როდესაც ბუნება ასე სადღესასწაულოდ მორთულია; როცა ყოველი სულიერი და უსულო სიხარულს ეძლევა და ბუნების ფერხულში მონაწილეობას იღებს, შენ-კი, საყვარელო ამხანაგო ვერა, თვალები საუკუნოდ დაგიხუჭავს, გულზე ხელები დაგიკრეფია და სამუდამოდ გულ-სვავი მიწის ჩასაკონებლად განმზადებულხარ. რამ მიგიყვანა საფლავის კარამდის? რამ მოსპო შენი ნორჩი სიცოცხლე? რამ შეაყენა მუდამ კეთილი საქმისათვის მაძგერალი გული? განა ამას ფიქრობდი შენ, როდესაც მოსწავლე იყავი? არა, დაო ვერა! მე კარგად ვიცი, რაც შეადგენდა შენს მისწრაფებას. შენ ოცნებობდი განგეგრძო სწავლა უმაღლეს სასწავლებელში; რომ მეცნიერებით შეიარაღებული, საფუძვლიანად მომზადებული, უფრო მედგრად, უფრო ძლიერად შებრძოლებოდი ცხოვრების უკუღმართობას. წყეულმა გარემოებამ შენ არ დაგაცადა ამის შესრულება, მაგრამ შენ ამ გარემოებამაც ვერ შეგირყია შენი მტკიცე რწმენა... და ამ ძლიერი რწმენის ნაყოფი ნათლადა ბრწყინავს შენი ხან-მოკლე, მაგრამ ნაყოფიერი ცხოვრების სარბიელზედ. ამ რწმენისა და დაუღალავი შრომის ნაყოფია ქუთაისის საკვირაო სკოლა, სადაც ბედისაგან დაჩაგრულები ღირსნი ხდებიან რამე ცოდნა შეიძინონ. მაგრამ განა მარტო სწავლის დამთავრების შემდეგ შეუდექი შრომას! არა, შენ თოთხმეტის წლის იყავ, როცა დაობლდი, იმ დღიდგან გაუწიე შენს ოჯახს მუშაობა, იმ დღიდგან დაიდგი მძიმე უღელი შრომისა, რომელიც უკანასკნელ წამამდის ატარე. აი, ამ უზომო შრომამ მოგიყვანა შენ საფლავის კარამდის! აი, ამ უზომო შრომამ გამოგგლიჯა ხელიდგან შენი თავი! ეხლა რა გითხრა, საყვარელო ამხანაგო, შენც და ჩვენს თავსაც იმით ვინუგეშებთ, რომ შენი მეგობრობის ხსოვნაში მუდამ დარჩება წარუხოცელი შენი კეთილშობილური სულის კვეთება, შენი მისწრაფება, შენი სამაგალითო მხნეობა და ყოველ კეთილ[illegible]ბა... ყოველი ეს კიდევ დიდხანს აქ[illegible] სამაგალითო [illegible] ამხანაგებს. მშვიდობით, დაუვიწყარო ვერა!

აქვე მისმა მეგობარმა ქალმა თ. ჯაფარიძისამ შემდეგი გამოთხოვების სიტყვები უთხრა გმნსვენებულს: „დღეს უკანასკნელათ გეთხოვება შენი მშობლები, ნათესაობა, ამხანაგობა და ის საზოგადოება, რომლის საკეთილდღეოდ უკანასკნელ სიკვდილის დღემდე ზრუნავდა. მას შეალიე შენი ძალ-ღონე, შენი სიცოცხლე და ეს მით საგრძნობელია ჩვენთვის, რომ შენებრ თავ-განწირული, დაუღალავი, საზოგადო ინტერესებით განმსჭვალული ადამიანი არა თუ იშვიათია, თითით საჩვენებელია, ჩვენში ხშირათ გაისმის საყვედური ჩვენ საზოგადოებაში, რომ საამდროვოთ მომზადებული ქალები არ გვყავსო. საფუძვლიანიცაა ეს დრტვინვა. მართლაც, რომ ძვირია ჯერჯერობით დროის შესაფერათ აღზრდილი და მომზადებული ქალები. შენ კი, როგორც მაგალითი, სიამაყით სახსენებელი იყავი ყოველი ქართველისაგან. მართლაც, რა ღირსება არ იყო შენში:—ზნეობით შეუბღალავი, სულით მაღალი, პატიოსანი მუშაკი, თანამგრძნობი ყოველივე კეთილი განზრახულების და თავ-დადებული საზოგადო საქმისათვის. აქ ძალუნებურად მებადება კითხვა. როგორ მოგეპყრო შენ შენგან დავალებული საზოგადოება? აშკარათ შემიძლია ვთქვა, რომ შენ შეიქენი მსხვერპლი ჩვენი ცხოვრების სასტიკი და არა ნორმალური პირობებისა და იმ დროს, როცა შენ დაღლილი დაუცხრომელი მუშაობისაგან, საჭიროებდი მოსვენებას, დახმარებას, მაშინ შეგნებულმა ნაწილმა ჩვენი საზოგადოებისამ ვერ გაამართლა თვისი მოვალეობა შენს წინაშე. აწ მშვიდობით, ძვირფასო მეგობარო, გეთხოვებით მთელი შენი მეგობარ-ამხანაგობა და აქ, შენის ცხედრის წინაშე ვსდებთ მტკიცე აღთქმას, რომ შენი ცხოვრება, აღსავსე სამაგალითო მოღვაწეობით და შენი სახე გარემოცული საზოგადო მოღვაწე ქალის შარავანდედით, მუდამ გზის მაჩვენებელ ლამპრათ გვექნება ჩვენს მომავალს ცხოვრებაში“.

ექვსმა ასეთმა გრძნობით წარმოთქმულმა სიტყვებმა დასაფლავების დროს დამსწრე ახალგაზდობას და საეპარქიო ქალების სასწავლებლის მის ყოფილს შეგირდებს მრავალი გულსაწვავი ცრემლები დააღვრევინა და იმათაც, ვინც მის სიცოცხლეში პატივს არ ეცემდა, ცრემლით თვალებისაკენ ხელი წაავლებინა. და მართლაც ქუთაისში ძვირათ თუ ვისმე ღირსებია სიკვდილს შემდეგ მაინც ასე დაფასება ახალგაზდობისაგან.

ისი

## რედაქციისაგან

**ზესტაფონში** ვ. სეფისპირელს. თქვენი საპასუხო წერილი ვერ დაიბეჭდე-

ბა. სამრევლო სკოლა ყოველთვის სასურველია სოფლისათვის და თუ შეიძლება, ერთის მაგიერად ორიც რომ იყოს, სჯობია.

# თეატრის მატიანე

**ს. ნიგოითი** (გურია). საქველმოქმედო წარმოდგენა. 17 მაისს, ნიგოითის ორ-კლასიან სასწავლებლის მასწავლებლების თაოსნობით აქ გაიმართა საქველ მოქმედო წარმოდგენა. წარმოდგენილ იქმნა: „მონადირე“ და „რაც არ მერგება, არ შემერგება“ ვ. გუნიასი. წარმოდგენამ მშვენივრად ჩაიარა, საზოგადოება ბოლომდე დაესწრო და ნასიამოვნებიც დარჩა. ყველამ კარგად შეასრულა თავ-თავიანთი როლები, განსაკუთრებით ისახელეს თავი და დიდ აღტაცებაში მოიყვანეს დამსწრეთაგანი ქ ბმა თ. და ნ. კალანდარიშვილის ასულმა. იმედია, რომ შემდეგშიაც დაგვეხმარებიან ამისთანა კეთილ საქმეში.

კ. კ—შვილი

## ყურმოკრული საუბარი

ახირებული პოლიტიკოსები.

— დიახ, ბ. ივანე, ისპანიელები ამერიკელებს ეჩხუბებიან, უთუოდ რომელიმე დაამარცხებს.

— მე მგონია, რომ, რომელიც უფრო ძლიერია, ის დაამარცხებს.

— სწორედ, სწორედ, მეც მაგის თქმა მინდოდა.

—

— ბ. პეტრე, რომელ დასს ეკუთვნით!

— ხან ერთს, ხან მეორეს.—ხან ივანეს ბანქოში შევებრძოლები, ხან სტეფანესთან ბილიარდს ვთამაშობ.

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

24 მაისი

**პეტერბურგი.** სახელმწიფო ბანკი საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამ ჟამად გაჩნდა ყალბი ქაღალდის ხუთ-მანათიანების ხმარება, რომლებიც საკმაოდ ხელოვნურად არის ნაკეთები. საზოგადოებისათვის ზარალის თავიდან ასაშორებლად საუკეთესო საშუალებაა: რაც შეიძლება საჩქაროდ წარდგენილ იქმნეს ქაღალდის ხუთ მანეთიანები ფასში, ანუ გამოსაცვლელად ბანქის კასებში, რომლებიც ამ წლის მარტიდან აღარ უშვებენ სახმარებლად ქაღალდის ხუთ მანეთიანებს.

**პარიზი.** რუსეთის ელჩმა გადასცა გენერალს სოსიეს ხელმწიფე იმპერატორის საჩუქარი, ნიშნად განსაკუთრებულის ყურადღებისა, მისი გენერალის იმუსობის შეწყვეტის გამო. საჩუქარი წარმოადგენს მშვენიერ სათუთუნეს მისი უდიდებულესობის სურათით.

**ოდესა.** თავისუფალი ფლოტი ჰგზავნის საავენტოებს, მართავს ნავთ-სადგურებს, საქონლის შესანახ ბეღლებს პორტ-არტურსა და ტალიენვანში. პორტ-არტური, რუსეთის მფარველობის ქვეშ გადასვლის შემდეგ, სწრაფად მოცოცხლდა. აგებენ შენობებს, კაზარმებს, სახაზინო და კერძო სადგომებს; თავისუფალი ადგილები სწრაფად იყიდება. რუსეთ ჩინეთის ბანკმა პორტ-არტურში განყოფილება გახსნა, რომელიც უკვე მოქმედებს. ბანკი ყიდულობს დიდ ადგილებს პორტის ახლო-მახლო.

**ვაშინგტონი.** ესკადრის უფროსის შლეის ოფიციალური დეპეშა, რომელიც წაკითხულ იქმნა მინისტრთა საბჭოს მიერ, იუწყება: არავითარი საფუძველი არა გვაქვს ვეჭვობდეთ ადმირალის სერვერისა და ესკადრის ყოფნას სანტ-იაგოში. ზარბაზნების დაშენის მიზანი იყო ისპანიის ბატარეების [illegible] დანამდვილებით [illegible]. შედეგი სრულიად [illegible]. ამერიკის არც ერთი [illegible] [illegible]ალებულა, არც ერთი კაცი არ დაჭრილა.

**გიბრალტარი.** ისპანიის ესკადრა გავიდა კადიკსიდან რაღაც აზრით, რომელიც არ იციან.

**ნიუ-იორკი.** ვაშინგტონიდან დეპეშით იუწყებიან, რომ მაილსმა აცნობა სამხედრო მინისტრებს, გემებზე შევსვი ტამპიდან და მობილიდან მოსული ჯარი, რომელიც გამზადებულია „სანტ-იაგოზე ალყის შემოსარტყმელად. ეს ჯარი გაგზავნილია კივესტისაკენ, სადაც მას დახვდება მის წასაყვანად გამზადებული გემები.

**ლონდონი.** ინგლისის ძლიერი რაზმი შეუერთდება ჰარტუმში წასასვლელს ინგლის-ეგვიპტის ექსპედიციას. ექსპედიცია შემდგარი იქნება 20,000 კაცისაგან და მივა ჰარტუმში ოქტომბრის დამდეგს. ხმა დადის, დერვიშებმა მიატოვეს შაბლუკუო, საუკეთესო მარჯვე ადგილი ბერბერსა და ჰარტუმს შუა. ხალიფი ამ ჟამად თავს უყრის თავის ჯარს ომდურმანის მახლობლად.

**პარიზი.** „Eigaro“-ს სიტყვით, გერმანის საიმპერიო კანცლერს გოგენლოეს, რომელიც ამ ჟამად პარიზში იმყოფება, უთქვას, აზრად მაქვს, როგორც კი ბერლინში დავბრუნდები, სამსახურიდან გამოვიდე დაღალვისა და დაყრუების გამო.

**მადრიდი.** ხმა დადის, ისპანიელებმა გუშინ სანტ-იაგოსთან საუცხოოდ გაიმარჯვესო. გარდა იმისა, რომ ამერიკელთ ერთი გემი ზღვაში დაელუპათ, ორი ჯავშნიანი გემიც ძლიერ დაუზარალდათო. მთავრობამ დეპეშები მიილო გამარჯვების შესახებ, მაგრამ მათ მანამ არ გამოაქვეყნებენ, სანამ დედოფალს არ აცნობებენო. ისპანიელებმა დაატყვევეს ამერიკელებიო.

**ნიუ-იორკი.** პორტ-ო-პრენსიდან დეპეშა იუწყება, რომ ამერიკის ფლოტმა ზარბაზნების სროლა ასტეხა სანტ-იაგოსთან დილის 3 საათზე, სროლამ გასტანა ნახევარ საათს. ამერიკის მისაშველებელმა გემმა „მერიმაკმა“ ძალით მოინდომა პორტში შესვლა; ისპანიელებმა მას გზა მისცეს, გაატარეს იგი ტორპედების მახლობლად და ააფეთქეს ტორპედი მხოლოდ მაშინ როცა „მერიმაკი“ 500 ფუტზე იყო სრუტეში შესული; ტორპედი აფეთქდა სწორედ „მერი“-მაკის წინ, რომელმაც თითქმის დაუყოვნებლივ ჩასძირა. წყლიდან მოსჩანს მხოლოდ მილი და იალქნების წვერები. სანტ-იაგოში ხალხი მეტად აღფრთოვანებულია.

**მადრიდი.** ოფიციალური დეპეშა სანტ-იაგოსთან მომხდარ ბრძოლის შესახებ იუწყება: „გუშინ დილის 4 საათზე მტრების დიდმა ჯავშნიანმა გემებმა და მისაშველებელმა კრეისერებმა მოინდომეს ძალით შესულიყვნენ პორტში, მაგრამ შენიშნულ იქმნენ დარაჯთაგან. ფორტის „მორროს“ და კრეისერის „Reina-Mencedes“-ის არტილერიამ, ამ კრეისერის ბატარეიმ, პატარა გემებმა და ტორპედების სადგურებმა ზარბაზნები დაუშინეს მტრებს. ამერიკის კრეისერი „მერიმაკი“ ჩაძირულ იქმნა ზღვაში ისპანიის გემებისა და ტორპედების-მიერ. დიდმა ამერიკის ჯავშნიანმა გემებმა უკან დაიხიეს. პორტის შესავალი არ არის დახურული „Reina-Mercedes“-ზე დატყვევებულნი არიან ლეიტენანტი და შვიდი მატროსი დალუპულ ემისა. დანარჩენების ბედი არ იციან, ისპანიელებს არავითარ ზარალი არ მისცემიათ არც ახლა. სანტ-იაგოს წინ იმყოფებოდა ამერიკელთა 20 გემი.

**ნიუ-იორკი.** დეპეშით იტყობინებიან, რომ სან-დომინოს რესპუბლიკის პრეზიდენტი გერო მოუკლავთ.

**ვაშინგტონი.** ზღვის სამინისტრომ გამოაქვეყნა შემდეგი დეპეშა: „3 ივნისს, ნაშუადღევის 4 საათზე მე დავღუპე სანტ-იაგოს არხში „მერიმაკი“. ეს მოქმედება დიდი სიმამაცით შესრულა შვიდმა მატროსმა ზღვის ინჟენრის გობსონის უფროსობით. სერვერამ დააფასა მათი სიმამაცე და თან გვაუწყა, ყველანი დავატყვევეო; ორი მსუბუქად დაჭრილია. გთხოვთ ნება მომცეთ, თუ შეიძლებოდეს, ეს ტყვეები გავცვალო იმ ისპანიელებში, რომლებიც დატყვევებულნი არიან „Atlante“-ზე.

**მადრიდი.** პალატამ ერთხმად დაადგინა მიულოცოს გამარჯვება ჯარსა და ფლოტს კუბაზე.

26 მაისი

**პეტერბურგი.** შეცდომის გასწორება. გუშინდელ დეპეშის ბოლო ვაშინგტონიდან, სადაც ნადქვამია ამერიკის გემის „მერიამაკის“ დაღუპვაზე სანტ-იაგოსთან, უნდა იყოს ასე: გთხოვთ ნება დამრთოთ, თუ შესაძლებელია, გამოვსცვალო ისპანეთის ტყვეებზე ჩვენები, რომელნიც მტრებმა ტყვედ წაიყვანეს. სანტ-იაგოში ამ ჟამად ექვსი ისპანეთის გემია, რომელნიც თავს ვერ დააღწევენ ვერც დატყვევენისაგან და ვერც დაღუპვისაგან. ადმირალი სამპსონი.

**ჰავანნა.** ღენერალ ბლანკომ ბრძანება გასცა უცხოეთის კორესპოდენტებს აეკრძალოს კუბაში ყოფნა. ვინც ამ ბრძანებას არ დაემორჩილება ისინი აღიარებულ იქმნებიან ჯაშუშებად და სამხედრო სამართალს მიეცემიანო.

**როსტოვიდო-ნზე.** გუშინ სად. „ამფროსიევკასთან“ სამგზავრო მატარებელი დაეჯახა მეორე მატარებელს. არის დაჭრილებიც და მოკლულებიც.

**კინგსტონი.** აქ მიღებულია ცნობა, რომელიც ამტკიცებს, რომ ისპანეთის გემი, რომელიც ცდილობდა სანტ-იაგოში გასვლას ამერიკის ჯავშნიან გემს შუაში გადაუჭრია და მთელი ჯარიც დაღუპულა.

**ნიუ-იორკი.** კინგსტონიდან დეპეშით იუწყებიან, რომ პუანტეკობრესთან 5000 ჯარის კაცი გადაუსხამთ ამერიკელებს, ეს ჯარი შეერთებია 3000 აჯანყებულთ. ხმელეთზე გამოუტანიათ დიდი ზარბაზნებიც.

**ნიუ-იორკი** კორესპოდენტი, რომელიც ადმირალის გემზე იყო, დეპეშით იუწყება, რომ ისპანეთის გემის დაღუპვა ტყუილი არისო.

**ლონდონი.** კერძო დეპეშიდან სჩანს, რომ ისპანიელებს კი არ დაუღუპავთ ამერიკელთა გემი „მერიმაკ“ არამედ თვით ამერიკელებს, რათა გზა შესავალი შეეკრათ ნავთსადგურში. ისპანელებს არ შეუძლიათ ავნონ ამერიკელების გემებს, ხოლო თვითონ კი ნავთ-სადგურში მომწყვდეულნი ვერაფერს გახდებიან.

**ნიუ-იორკი.** დეპეშით იუწყებიან. კაპ-გაიტიდონ, რომ შაბათს ნაშუალამევს უნდა ყოფილიყო ბრძოლა სანტ-იაგოსთან, ისპანიელებს მრავალი ჯარი გაეგზავნათ ნაპირებზე, რათა ამერიკელებისათვის დაემალათ ხმელეთზე გადმოსვლა. როგორც ისმის ამერიკელებს პუანტე-კობრესთან დიდძალი ჯარი გადმოუსხამთ.

**ბელგრადი.** არჩევანები მშვიდობიანიდ გათავდა. არჩეულ არიან 112 ლიბერალი, 62 ნაპრედნიაკი, 19 ნეიტრალი და 1 რადიკალი.

**თეირანი.** დიდი ვეზირი სამსახურიდან გადამდგარა, მის მაგიერ ახალი სამინისტრო შეუდგენია მუშირ-ებდულეხს.


# განცხადებანი

ქართველთა ამხანაგობის გამოცემანი

ისყიდება საკუთარ კიოსკში, ქაშვეთის ეკ (კლესიის პირდაპირ, ბაღის კუნჭულში)

| | |
|---|---|
| თხზულებანი ა. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით და იგივე მე-IV ტომი მშვენიერს ქაღალდზე და მშვენიერსავე ყდით (თითო) . . . . . | 2—50 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი . . . | „—80 |
| იგივე მშვენიერი ყდით . . . | 1—25 |
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა, ლეგენდა-პოემა ბაჩანასი . . . . | „—25 |
| სალხური ზღაპრები I ნაწილი | „—30 |
| იგივე კარგს ქაღალდზე, მშვენიერი ყდით . . . . . | 2—50 |
| იგივე ტომი III . . . . . | 1—„ |
| იგივე ტომი IV, იზა, ორი წიგნი . . . . . . | 1—60 |
| იგივე კარგს ქაღალდზე მშვენიერი ყდით . . . . . | 3—„ |
| ჩანგი . . . . . . | 1—„ |
| სოფლის კუნწულა, ლ. მაჩხანელისა . . . . . | 1—20 |
| თხზულებანი [illegible] ტომი I . . | 1—50 |
| იგივე კარგს ქაღალდზე მშვენიერი ყდით . . . . . | 2—50 |
| იგივე ტომი II . . . . . | 1—„ |
| იგივე კარგს ქაღალდზე მშვენიერი ყდით . . . . . | 2—50 |
| არაკები, საბა ორბელიანისა, ბავშვებისთვის . . . . | |
| სიბრძნე-სიცრუვე, მისივე . | „—50 |
| იგივე კარგს ქაღალდზე . . | 1—50 |
| სამზარეულო ქართული ევროპიული საჭმელებისა . . | 1—50 |
| თხზულებანი რ. ერისთავისა, ტომი I, სურათით . . | 1—„ |
| იგავ-არაკნი, მისივე . . . | „—20 |
| ღვინის დაყენება, პროფესორის გ. პეტრიაშვილისა . . | 2—50 |
| აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ქ. ტფილისში თ. ა. ვახ.-ძე ჯამბაკურიან-ორბელიანისა . | „—2[illegible] |
| საქართველო და მისი ისტორიული წარსული დრო, ვ. პოტტოსი . . . . . . | „—40 |
| მეფე დავით აღმაშენებელი და მისი დრო, ისტორიული მონოგრაფია ნ. ურბნელისა | „—[illegible] |
| ივენგო, რომანი ვალტერ სკოტისა . . . . . . . | 1—„ |
| ცეცხლითა და მახვილითა, რომანი გ. სენკევიჩის, . . | 1—50 |
| დასტურ-ლამა თხზულებანი ნიკოლოზ დადიანისა . . | „—25 |
| გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა, სურათით . . . | „—30 |
| სიბრძნე ბალავარისა . . . | „—30 |

(100—78)

ცნობილი ფაბრიკების



როიალები



პიანინო



ფის-გარმონიები, სკრიპკები, იგიტარები, ლეფლეტები, კლარნეტები ნოტები, სიმები და სხვ. და სხვ.



ყოველ ამ სამუსიკოარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ წვრილად გადახდით.

—

ახა ი პრეისკურანტები მუქთად იგზავნება.

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა

ბ. მ. მირიმანიანისა

Музыкальное депо

Б. М. Мириманіана

Тифлисъ, Дворцов. ул.

(54—13)


Дозвонолеценеурою. Тифлисъ, 26-го Мая г. სტამბა „ცნობისფურცლისა“ (ვ. გუნიასი) სას. ქ. სათ.-აზ. ქარგ. რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია.